# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 254 შაბათი, 14 ნოემბერი 1909 წ. № 254

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ დაუბრუნებენ ავტორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


„დროების“ დღევანდელ ნომერში 26 გვერდია (ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებანი). ცალკე ნომრების მყიდველებმა უნდა მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს ყველა ფურცელი.


კვირას, 15 ამა ნოემბერს, ქ. ბათომში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლებულ

**გრიგოლ იოსების ძის ვოლსკის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ბარბარე იოსებ ვოლსკის ასული და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი.** (1—552—1)

კვირას, 15 ნოემბერს, ბათუმის ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრის და საზოგადო მოღვაწის

**გრიგოლ იოსების ძის ვოლსკის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დილის 11 საათზე, ბათუმის ქართულ ეკლესიის გალავანში, საფლავზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებს ბათუმის **ქალაქის გამგეობა,** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა, განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და მის ხსოვნის პატივისმცემელთ. (2—6.—2)

11 ნოემბერს ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა

**როზა თომას ასული ბაინდუროვისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დისწულნი **ქნ. ანნა და მარიამ სევერიანის ასულნი თუმანიშვილნი.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კათოლიკეთა ქ., სახლი ბარბაროვისა), რომის კათოლიკეთა ეკლესიაში ორშაბათს, 16 ნოემბერს, დილის 10 საათზე, დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. (2—6.—1)

**ივანე და ნიკოლოოზ ანდრიას ძენი და ანნა ანდრიას ასული ყიფშიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 გიორგობისთვეს, წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი თავიანთ დაუვიწყარ დედის

**აღათია (ანნა) ალექსის ასულის ყიფშიძის**

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა 10 საათზედ, პანაშვიდისა 12 საათზედ. (1—543—1)

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, ვინც ჩვენ ძვირფას შვილის **მიშა კიკნაძის** უდროოდ დაკარგვის გამო წერილებით, დეპეშებით, ან პირადის დასწრებით ნუგეში გვცა. მშობლები და ძმები **კიკნაძეები,** და დისძე **კალატოზიშვილები.** (1—უ.—1)

**წარმოდგენა № 15. ქართული თეატრი წარმოდგენა № 15.**

კვირას, 15 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა პ. ალექსიშვილისა (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრაობიდან საქართველოში

**„პარტიის კაცი?!.“**

სცენები 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ბ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამბელი, დ. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ყიფიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „გიორგი მესამე“, „ქოჩრიანი ტოროლა“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფერადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლეში 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—38)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისა ვრს 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—205)

**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფ ლება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—59)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ. დ. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28, **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—43)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—60)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** [illegible] არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., ხიფ., ქარ. და კანის ავადმ. (ხქს. უმლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მხ. N 5, ს. მაფრანცოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—46)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—52)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—106)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—48)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—104)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—295)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**„საქართველოს მოამბის“** რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე: სასახლის ქუჩა, სახლი ქართ. თავ.-აზნაურობისა, № 117. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Головинскій пр., номера „Мухрани“, Семену Васильевичу Кипіани. (2—უ—2)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**იყიდება**

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაუკლდება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—43)

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპანის“ ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапанъ“. Гачечиладзе. (15—3)

**29 ნოემბერს 1909 წ.**

გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტიული და ლიტერატურული ალმანახი

**„დიპლიპიტო“**

კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ეღირება ყველგან ორ შაურად.

საჭიროა პროვინციიდან ხანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ ред. „Закавказье“ Э. Д. Горделадзе მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ (3—1)


## ტფილისი, 14 ნოემბერი

ლაპარაკი არის და ლაპარაკიც. ის, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ მეტად გულახდილია. პეტერბურგში ერთ საზოგადოებაში ყოფილა აღძრული. ბაასის შინაარს გადმოგვცემს „ზაკავკაზიეში“ (№ 225) ვინმე ჩაპოვი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ, ხოლო რომლის შესახებ „ზაკავკაზიეს“ რედაქცია ამბობს: ჩაპოვი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა და ახლო დგას როგორც სომხის, ისე ქართველთა წრეებთანაო. ხსენებულ რედაქციისათვის მიგვინდვია სრული პასუხის-მგებლობა იმის გამო, რასაც სწერს მას პეტერბურგიდან სომხების შესახებ ბ-ნი ჩაპოვი. და ჩვენ სიხარულის მეტი არაფერი დაგვრჩება, თუ ის ბაასი, რომელსაც გადმოგვცემს „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტი, სინამდვილეს არ დაეთანხმება, ან კიდევ არსებითად დამახინჯებული გამოდგება. ხოლო სანამ ეს გამოირკვეოდეს, ჩვენი გაჩუმება შეუძლებელია. გაზეთში გამოქვეყნებულია სომეხ-დეპუტატის იმგვარი აზრები, რომელნიც ძირს უთხრიან ქართველთა ეროვნულ ინტერესებს და საკითხ კავკასიის ერთა სოლიდარობისას ახალ და გამოურკვეველ პრობლემად ხდიან.

ლაპარაკობს ბ-ნი სალათელიანი და ვინმე სომეხი-მოხელე. სალათელიანი და მოხელე ერთი აზრისანი არიან. სალათელიანი დეპუტატია, კავკასიის ერთი პროვინციის წარმომადგენელი რუსეთის პარლამენტში, ამიტომ მისს სიტყვას საფუძველი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ბ-ნი სალათელიანი უკმაყოფილებას უცხადებს იმ სომეხ წევრებს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოლაპარაკებაში. ამ წევრებს გულწრფელობა აკლდათ. არ ამბობდნენ იმას. რაც უნდა ეთქვათ, ქართველებთან სოლიდარობის შესახებ ლაპარაკობდნენ, როდესაც ეს სოლიდარობა არ არის და არც შეიძლება რომ იყოს. „ჩვენ, სომხებმა, თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, ამბობს სალათელიანის თანამოაზრე სომეხი-მოხელე, რომ ერობის შესახებ ლაპარაკი უბრალო დროს გატარება იყო. მთავრობა შემოიღებს იმგვარ ერობასს რომელიც მის პოლიტიკას ეგუება, უმცირესობის უფლებასაც დაიცავს“... ქართველი და სომეხი წევრნი ერთმანეთს სოლიდარობას უცხადებდნენ, [illegible] კავკასიის ადმინისტრაციის [illegible] ისინი ხაზსაც უსვამდნენ ამ სოლიდარობას. და სწორედ ეს არის, რომ დიდ დანაშაულობად მიმაჩნია სომეხ-წევრების მხრივ“... სიტყვას ისევ სომეხი-მოხელე განაგრძობს: „ჩვენ ბრალსა ვდებთ ჩვენს წარმომადგენლებს, რომ ისინი მხდალები არიან და გულწრფელობასაც მოკლებულნი. ეს თვისება საუბედუროდ სომხის პოლიტიკის თვისებაა... ჩვენ ხელი უნდა გავუწოდოთ რუსებს და დავარწმუნოთ ისინი, რომ პროპორციონალურ წარმომადგენლობის შემოღებაა საჭირო. რუსებთან ერთად უნდა შევადგინოთ თავდამცველი (оборонительный) კავშირი... რუსების კოლონიზაცია კავკასიაში ჩვენთვის, სომხებისთვის, სასარგებლო და სასურველია. ამ კოლონიზაციის წყალობით ჩვენი მდგომარეობა უზრუნველყოფილი იქნება მუსულმანების თავსდაცემისაგან. და წარმოიდგინეთ, ჩვენი შინაური დემაგოგები და ჩვენი სათამაშო საზოგადო მოღვაწენი არა ჰბედავენ და აშკარად არ აღიარებენ ამას... იმის მაგიერ, რომ ერობის შესახებ მოლაპარაკების დროს გამოეაშკარავებინათ და გარედ გამოეფინათ ის განხეთქილება, რომელიც ცხოვრებაში არსებობს და ამ განხეთქილებისათვის კანონიერი სანქციაც მიეცათ, ყველა ამის მაგიერ, თავს ისე აჩვენებენ ქვეყანას, რომ სოლიდარობის მეტი არა არსებობს-რა ჩვენს შორის და მხოლოდ იმას-ღა ელიან, როდის იქნება ნებას მისცემენ ერთად მოქმედებისას, რათა დაფუძნდეს ერთობის და მეგობრობის ხანა. ეს ერთობა არ არის და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, რომ იყოს“. (единенія этого нѣтъ, и разумѣется быть не можетъ).

როგორც მოგახსენეთ, გულახდილი ლაპარაკია. ნიღაბი მოუხსნიათ, ლაპარაკობენ თავისუფლად. გრძნობენ თუ არა პასუხის-მგებლობას ამ სიტყვების წარმოთქმის დროს, არ ვიცით. ვიცით კი, რომ თვალსაჩინო ხდება ახალი სიტუაცია. სომხის ხალხის ბურჟუაზიული ნაწილი ბრძოლას გვიცხადებს, ბრძოლას სამკვდრო-სასიცოცხლოს. ბ-ნი სალათელიანი დაშნაკციუთუნის წარმომადგენელია. რამდენიმე წლის წინად „დაშნაკციუთუნი“ ჩვენთან სოლიდარობას და მეგობრობას ჰქადაგებდა. ეხლა კი გვეუბნებიან, რუსეთის რეაქციონურ მთავრობას უნდა მივცეთ ხელი, რუსების კოლონიზაციასაც სიხარულით მივეგებოთ, ქართველებს და სომხებს შორის არსებული უთანხმოება გავაღრმავოთო. ეხლა „დაშნაკციუთუნის“ დეპუტატი შიშით არის შეპყრობილი, ქართველებმა არ გაგვსრისონო და მას ერთად ერთი აზრი აქვს, მთავრობის დახმარებით დავამხოთ ჩვენი მტერი ქართველობაო. ვიმეორებთ, მეტად გულახდილი აღსარებაა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავების ხანაშიაც ამ გვარ ცინიზმამდე არ მისულან სომხის ერის ბურჟუაზიული წარმომადგენელნი. მაგრამ გულახდილობა სჯობია ფლიდობას და პირფერობას. იცი მაინც, ვისთანა გაქვს საქმე. იცი, რომ ერობის შემოღების დაწესებულებაშიაც კი ჰსურთ ეროვნულ შუღლის და მტრობის გაჩაღება. სამეურნეო ორგანიზაციაში „უმცირესობის“ დაცვა სწადიათ მაგრამ ეს კიდევ დიდი დანაშაულობა არ არის. ამის წინააღმდეგნი იქნება არც ჩვენ ვყოფილვიყავით, თუ რომ მართლა განსაცდელში ყოფილიყო ეს „უმცირესობა“. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს მხოლოდ საბაბია ჩხუბისა და დავისა. „პროპორციონალური წარმომადგენლობა“ ერთი იარაღთაგანია, რომელიც ქართველების წინააღმდეგ [illegible] შირებულია სურვილი რუსეთის შავრაზმელებთან ერთად მოქმედებისა (იმავ მიზნით) და თავხედურის გულახდილობით აღიარებულია, რომ საჭიროა ხელი შეუწყოთ მთავრობას საკოლონიზაციო საქმეში, ე. ი. იმაში, რომ ქართველებს ტერიტორია გამოვაცალოთო. და ყოველივე ეს ითქვა ერობის შემოღების გამო. მაშ რას იტყვიან მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი წარსდგება რუსეთის მთავრობის წინაშე და ავტონომიურ თვითმმართველობის უფლებას მოითხოვს? რაც იქნება, ის დღესავით ნათელია. ომს დღესვე გვიცხადებენ, ხოლო ექნება თუ არა რაიმე მნიშვნელობა ამ გვარ „გულადობას“ სომხის ხალხის ინტერესების დაცვისთვის, ძლიერ ვეჭვობთ. თუ სომხის ბურჟუაზიას მთავრობის იმედი აქვს და მასზე ამყარებს თავის ნუგეშს, სახიფათო ანგარიშს ეწევა. რეაქცია სამუდამო მოვლენა არ არის. დღეს თუ რეაქციაა, რამდენიმე წლის შემდეგ გარემოება შეიძლება ძირიანად შეიცვალოს. მაშინ ვის იმედით დარჩებიან ბ-ნი სალათელიანი და მისი მოაზრენი? ან იქნება ისევ ძმობაზე დაგვიწყონ ლაპარაკი, შეიძლება ეგეც მოხდეს, მაგრამ გვიანდა იქნება.

თავის აღსარების ბოლოში ბ-ნი სალათელიანი ბრძანებს: „პირადად მე მგონია, რომ შეუძლებელია ქართველი ქართველი იყოს და არ აღშფოთდეს სომხების როლით საქართველოში“. თუ სომხის საზოგადოება მართლაც და ბ-ნ სალათელიანის მრწამს აღიარებს, „აღშფოთება“ ძლიერ სუსტი სიტყვაა ჩვენის გრძნობის გამოსახატავად.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ნოემბერი.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** ადერბეიჯანის რაზმი, რომელიც დანიშნული იყო რახიმხანისა და შახსევანელთა წინააღმდეგ, ერთს თვეს სერაბში იყო დაბინავებული და ეხლა თავრიზში ბრუნდება. თავრიზელ და არდებილელ ვაჭრებს და რუს ქვეშევრდომებს იმედი აქვთ არდებილში და თავრიზში რუსის ჯარი და იმის შენახვით სა-

ჭირო ზომები იქნება მიღებული, რომ გაიხსნას მთავარი სავაჭრო გზები ასტარა-არდებილისა, თავრიზ-თეირანისა და თავრიზ ჯულფა-ხოისა. სათარ-ხანის საქციელმა არდებილში და იქიდან გაქცევამ ძალიან დასცა მისი სახელი.

**თეირანი.** 10 ნოემბერს, როდესაც შირაზიდან ბუშირში მიდიოდა რუსეთის ბუშირელ მთავარ კონსულის პასეკის ქარავანი, სოფლებს ხონეზენიანისა და დეტნაჯინის შუა თავს დაეცნენ ბაირახვერედების თემის ავაზაკები. პასეკი საზაფხულოდ შირაზში იმყოფებოდა და ბუშირში ბრუნდებოდა. პასეკის ქარავანთან ერთად მიდიოდა სპარსელთა ექვსი სავაჭრო ქარავანი. კონსულს თან ახლდა შვიდი რუსი და ხუთი სპარსელი ყაზახი და სამი სპარსელი ჯარის-კაცი, რუსის ჯარის თოფებით შეიარაღებული. თითონ კონსული და საკონსულოს მდივანი კადლუბოვსკი შეიარაღებულნი იყვნენ რევოლვერებით. სროლამ ნახევარ საათამდე გასტანა. მოპირდაპირეთა ძალა თანაბარი არ იყო და კონსული იძულებული გახდა მიეტოვებინა ქარავანი, სროლით მდინარის ნაპირ-ნაპირ ევლო და ისევ სოფელ ხონეზენიანში დაბრუნებულიყო. სროლის დროს მოჰკლეს რუსის ყაზახი სლესარენკო, დასჭრეს ხელში მეორე ყაზახი. მძიმედ დასჭრეს ორი სპარსელი ყაზახი, ხოლო მსუბუქად—ორი სპარსელი ჯარის-კაცი. კონსულის ქარავნიდან მოჰკლეს ოთხი ცხენი, სხვა ქარავნებიდან მოჰკლეს ათი სპარსელი, მათ შორის სოფელ ხონეზენიანის მამასახლისი, რომელიც წინ მიუძღოდა ქარავანს მილიციონერებით, რომელთა ნაწილიც აგრეთვე ამოხოცეს. კონსული პასეკი და კადლუბოვსკი უვნებლად გადარჩნენ, ქარავანი-კი გასცარცვეს, ნივთები გაიტაცეს. დიდის გაჭირვებით გადაარჩინეს საკონსულოს არქივი და ფულის ყუთი. კონსული [illegible] ბას. მოკლულის სლესარენკოს გვამს დაჰკრძალავენ შირაზში, სომხის სასაფლაოზე. კონსულმა მიმართა სპარსეთის მთავრობას და მოსთხოვა, დაუყონებლივ იქმნეს მიღებული ზომები დამნაშავეთა დასასჯელად, ხოლო ზარალს თვით მთავრობამ აუნაზღაუროს.

**თეირანი.** მიიღეს თუ არა ქალაქში ცნობა რუსეთის კონსულის თავდასხმაზე, ინგლისის შირაზელი ელჩი მაშინვე გაეშურა იმ ადგილისკენ, სადაც თავდასხმა მოხდა. თან გაიყოლა ინგლის-ინდოელთა ჯარის კაცები.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** 24 საათია განუწყვეტელი, კოკის-პირული წვიმაა, თან საშინელი ჭექა-ქუხილია და სამხრეთის ქარი ჰქრის. სტამბულის და გალატის დაბალი ადგილები წყლით არის დაფარული.

ოსმალეთის მთავრობა სრულებით დამშვიდებული მოელის სახელმწიფოთა პასუხს იმ ნოტაზე, რომელიც კრიტეს შეეხებოდა. სტატუს-ქვოს არაფერი შეუშლის ხელს, თუ სახელმწიფონი თანხმობას განაცხადებენ, დააწესონ კრიტეზე საკუთარი საკასაციო სასამართლო და აკრძალავენ საბერძნეთის საფოსტო არკებს. საზოგადოდ, ურთი-ერთობა ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის საკმაოდ გაუმჯობესდა. საკითხმა კრიტეს შესახებ სიმწვავე დაჰკარგა.

### უბედურება.

**მადრიდი.** მოულოდნელად ამოხეთქა ვულკანმა ტენერიფმა. ვულკანიდან მრავლად ამოდის ლავა (ნაცარ-ტუტა). ეს ლავა 10 ნოემბერს მდინარესავით გაემართა სანტ-იაგოსაკენ. სიგანე ამ მდინარისა 100 საჟენამდეა, სიღრმე—ხუთ საჟენამდე. ამ დღეს ლავა ნახევარ ვერსზე იყო წასული. ლავის მეორე მდინარე ტამანისკენ წავიდა და ვერს ნახევარი სიგრძე ჰქონდა 10 ნოემბერს. გუშინ ლავა გამოჩნდა ლასმანჭასის მიდამოებში. გარიჩიკოში მიწა ირყეოდა. ბევრი ოჯახი უსახლ-კაროდ დარჩა.

[illegible] ნერიფიდან ამოხეთქილი ლავა ჩრდილოეთისკენ მიდის. იგი ორ ტოტად გაიყო. ერთმა ცხრა საათის განმავლობაში სამი ვერსის მანძილი გაიარა. დიდძალი ლავა მიდის სანტ-იაგოსა და ტასსაუზისკენ და უფრო და უფრო დიდ მანძილს ედება. ხალხი გარბის საშიშ ადგილებიდან.

### მუშების დაღუპვა

**ტოკიო** (იაპონია). ონურის ქვანახშირის მაღაროებში, ფუკუოკის პროვინციაში, აფეთქდა გაზი. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ დაიღუპა 15 კაცი. სულ მაღაროებში 228 კაცი მუშაობდა.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. განაგრძნობს საფინანსო კანონ-პროექტის განხილვას. კონტებრიის მთავარ-ეპისკოპოსმა ხანაცხადა: მე და სხვა ეპისკოპოსები კამათში მონაწილეობას არ მივიღებთ და ნეიტრალურ პოზიციას დავიჭერთო. ლორდმა როზბერიმ თავის სიტყვაში გაჰკიცხა ბიუჯეტი, მაგრამ განაცხადა, მხარს ვერ დაუჭერ ლორდ ლენსტოუნის რეზოლიუციასო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. კრამარჟმა დაასაბუთა სწრაფი შეკითხვის საჭიროება ნაციონალურ უმცირესობის უზრუნველსაყოფელად; შეეხო მთავრობის შინაურ პოლიტიკას, შეადარა იგი სახელმწიფოს საგარეო მდგომარეობას და სთქვა: როდესაც მთავრობა სდევნის სლავიანებს, იგი ალბად შეურიგებელ გერმანელთა გავლენის ქვეშ იმყოფება. გერმანელი ელემენტები ხაზს უსვამენ გერმანიასთან კავშირს და სისხლის დაუღვრელად გამარჯვებას ბოსნიის საკითხში. საერთაშორისო მდგომარეობა სახელმწიფოსი ისეთი არ არის, რომ შეიძლებოდეს სლავიანთა ასეთ სასოწარკვეთილებამდე მიყვანა. გარეშე საქმეთა სამინისტროს სახელოვან პოლიტიკის მეოხებით ავსტრ-ჰუნგრეთი ისე მიწებებულია გერმანიასთან, რომ იძულებულია ყველაფერში კიდევ დიდხანს მისდიოს გერმანიას: სუსტი ყოველთვის ემორჩილება ძლიერს. საჭირო კი იყო ეს პოლიტიკა ადვილად ასატანი ყოფილიყო ხალხისა- [illegible] ასეთ მდგომარეობამდე, იმათი ასეთი შევიწროება გერმანიასთან კავშირის გულისათვის სახელმწიფოების თვალსაზრისით დიდ სისულელედ უნდა ჩაითვალოს. სლავიანთა დეპუტატები რომ სახელმწიფოს მოღალატენი ყოფილიყვნენ, მაშინ თვით მე მოვითხოვდი ისეთ პოლიტიკას წარმოებას, რომელიც აიძულებდა სლავიანებს თავიანთი ხსნა კატასტროფაში ეძიათ. სლავიანები სისხლს არ დაღვრიან და არც შესწირავენ თავიანთ სარჩო-საბადებელს გერმანიის კეთილდღეობას, ჩვენ კატასტროფების პოლიტიკას არ ვაწარმოებთ, ვინაიდან გვწამს, რომ სლავიანები ავსტრიაში მოიპოვებენ თავიანთ უფლებებსაო. ბერგელდმა (გერმანელთა პარტია) განაცხადა, რომ გერმანელები ჩეხიაში ბატონობას კი არა თხოულობენ, არამედ ჩეხებთან სწორ-უფლებიანობას. განხილვა კანონპროექტისა ჩეხურ და გერმანულ ენების უფლებაზე დაახლოვებს ორივე ერს, ბოლოს მოუღებს ეროვნულ ბრძოლას, რომელიც საიმპერიო პარლამენტის საფრთხეს შეადგენსო.

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს“ სოფიიდან ატყობინებენ, ოსმალეთის ელჩმა სთხოვა პოპრიკოვს გადმოეცი ტექსტი იმ სიტყვებისა, რომელიც სკუპჩინაში წარმოსთქვა თითონ პოპრიკოვმა და მალინოვმაო. მთავრობის წრეებში ძლიერ შეძრწუნებულნი არიან იმ ინციდენტის გამო, რომელმაც ოსმალეთი აახმაურა.

**მადრიდი.** სამხედრო სამინისტრომ განაცხადა, რომ მელილიაში ყველაფერი დამზადებულია გასალაშქრებლადო.

**ბუდაპეშტი.** დიდის ამბით გადაიტანეს ლიუდოვიგ კოშუტის გვამი აკლდამაში დასაკრძალავად.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ განსაზღვრა ჯარის რაოდენობის რიცხვი. მშვიდობიანობის დროს ჯარში იქნება 42.800 კაცი.

**ლონდონი.** საფინანსო კანონპროექტის შესახებ კენჭის ყრა 17 ნოემბერზე ადრე არ მოხდება, რადგან დიდძალი ორატორი ჩაეწერა.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ მთავრობამ ჩააბარა ოსმალეთის ელჩს სტენოგრაფიული ანგარიში სკუპჩინის 5 ნოემბრის სადომისა და აგრეთვე პაპრიკოვის სიტყვას ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი იყო ოსმალეთზე. ამით სრულიად აიცდინეს თავიდან მინისტრის სიტყვების სხვანაირად განმარტება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში ბინერტმა სიტყვა წარმოსთქვა და ილაპარაკა იმ საყვედურების წინააღმდეგ, რომელსაც მთავრობას უცხადებენ, ვითომ იგი ჩეხებისა და სლავიანთა საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდეს. ბინერტმა მოუწოდა ყველა პარტიას, შეერთდნენ იმ აზრით, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნულ საკითხის შესახებ შესათანხმებლად საერთო ნიადაგის შემუშავება. ყველა ორატორის სიტყვაში გამოსჭვივის სურვილი მორიგების შესახებ და მთავრობაც მზად არის, გულწრფელად დაუჭიროს მხარი ამ სურვილსაო.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ღამე სტარი დერევნიაში რამდენიმე ბოროტ-მოქმედი თავს დაეცა ერთი აგარაკის პატრონის სახლს. ცულით დასჭრეს სახლის პატრონის ძმისწული ქალი მოსამსახურე და მეეზოვე. თითონ სახლის პატრონი სახლში არ დაჰხვდათ. ეჭვით შეიპყრეს ორი კაცი.

**იაროსლავლი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საკინის ფაბრიკის კასირის გაცარცვის საქმე და მიუსაჯა ოთხს (ამათგანი სამი სამრეწველო სკოლის მოწაფეა)—კატორგა. ორი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო, მისდამი რწმუნებულ სასწავლებლებისათვის ატესტატების და სხვა ქაღალდების ბლანკები დაიბეჭდოს პეტერბურგში იქ, სადაც სახელმწიფო ქაღალდები იბეჭდება. ყველა მოწმობა და ატესტატი ერთნაირად და სუფთად იქნება დაბეჭდილი და სიყალბის ჩადენაც შეუძლებელი გახდება.

**ნოვოჩერკასკი.** გუშინ ღამე სამხრეთ აღმოსავლეთის რკინის გზების სადგურ [illegible] ორი მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. დაიმტვრა 10 ვაგონი, მოკვდა 2, დაიჭრა 9 მგზავრი.

„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „[illegible] ტურფავ?“, ლექსი გრიშაშვილისა; „ოზლის ღვთაება“, მოთხრობა ლ. [illegible]სა; სურათები: „ეტიუდი“, სურათი სამო[illegible]იშისა, „რევიზორი“ სახალხო სახლის თეატრში (გრიმებში გადაღებული სცენის მოყვარენი) და ორი სურათი სპარსეთის ცხოვრებიდან.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**წერა-კითხვის საზოგადოება.** ხუთშაბათის კრებაზე წერ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შემდეგი საქმეები განიხილა: 1. ადმინისტრატიულ სექციის მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა წიგნების მაღაზიის პატრონების და წიგნების გამომცემლების განცხადება, რომ მოწვეულ იქნას წიგნების ვაჭართა და გამომცემელთა კრება. გამგეობამ თანახმად სექციისა, სასურველად სცნო ასეთი კრების გამართვა და დაადგინა: მიიღოს კრებაში მონაწილეობა თავის წარმომადგენლით, აიღოს ნებართვა, მოიწვიოს ინიციატორთა კრება წინასწრად ბიუროს შესადგენად, ხოლო ორგანიზაცია კრებისა, მოწვევა მისი და ხელმძღვანელობა დააკისროს ბიუროს. თავის წარმომადგენლად წ. კ. საზოგადოებამ დანიშნა წიგნების ვაჭრობის გამგე. 2. მდივნის მოხსენება იმის შესახებ, რომ გამგეობამ გამოსცეს პერიოდული ორგანო. გამგეობამ ფრიად საჭიროდ სცნო ასეთ ორგანოს გამოცემა და დაადგინა, შეტანილ იქმნას ხარჯი მომავალ აღრიცხვაში, ამის დამტკიცება ეთხოვოს საზოგადო კრებას და ორგანოს პასუხის მგებელ რედაქტორად დანიშნოს მდივანი. 3. ნათლუხელების თხოვნა სკოლის გახსნის შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნა გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა დირექტორის წინაშე. აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა ქვემო-სურებში ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში მონაწილეობის მისაღებად თავის წარმომადგენლად აირჩია ალ. ყიფშიძე.

# გზა-და-გზა

**მოთხრობა.**

(შემდეგი *)

ცოტა ხნის შემდეგ გრიგოლი კარგა შეზარხოშებული დაბრუნდა და მატარებელიც ისევ დაიძრა.

— დალახვროს ღმერთმა, აბა, თუ ერთი კარგი გოგონა შემოგვიჯდეს ამ დანავსულ ვაგონში! კვლავ ბუზებივით ირევიან და ახლა იმიკიოტიც კი გაპარულა!—შემოსვლისათანავე დაიჩივლა გრიგოლმა და როცა თავის ადგილზე მოიკალათა, დაუმატა:—ჯანი გავვარდეთ!.. ისევ მოგონებით გაგართობ და გავირთობ თავს... ჰო, იმას ვამბობდი: ვიყავით ერთმანეთში არეული ქალი და კაცი და მთელი ქვეყანა გაგვქონდა და გამოგვქონდა მეთქი. იმდენი სიცოცხლე მომცა, რამდენი ეგრედ წოდებული, უმანკო და მიუკარებელი, „დიდი ზნეობის ქალი“ ჩუმად, ფარულად მე ამყოლოდეს, და რამდენ „ზნეობის მქადაგებელ“ კაცსაც კუდი სხვაგან ედოს?!. გიჟი კი არ გეგონო, ჩემო იავ,—ჩაურთო გრიგოლმა:—რომ ასე გულახდილად გელაპარაკები! თუ შენც ისეთივე პირადი ხარ, როგორიც ათასში ერთი მოიპოვება, დამეთანხმები, რომ ეს ოხერი წუთი-სოფელი მხოლოდ და მარტო თვალთ-მაქცობისაა!.. მე ერთად-ერთ „საბერო“ კაცს ვიცნობდი და, მგონი, ისიც სრული ჭკუისა არ იყო. ეს გახლდათ ჩემი ამხანაგი მიხა ბარელი. მაგრამ ამაზე ქვევით. ჯერ მინდა გაგაცნო ვინმე ქსენია ივანოვნა, რომელიც ყველაზე უფრო მოხდენილი და არშიყი კურსისტი იყო.

„როგორც ბუზი თაფლს, ისე დავეხვეოდით ხოლმე მოკისკასე ქსენიას და აღარ ვიცოდით, ვის რა ქათინაური გვეთქვა. ქსენიაც თვალებსა კრუტავდა, გვენაზებოდა, გვეპრანჭებოდა და არც ერთს ყურადღებოდ არა გვტოვებდა. მოხერხებული ქსენია ივანოვნა ყველას ცეცხლის ალზე გვწვავდა, მაგრამ ჯერჯერობით საზღვარს არ გადადიოდა და, ასე ვთქვათ, ხმელ არშიყობას არ აჭარბებდა. ჩვენი ამხანაგების უმრავლესობა კარგად ხედავდა ქსენია ივანოვნას თვალთ-მაქცობას და თვალთ-მაქცადვე უხვდებოდა. მხოლოდ მიხა ბარელმა ვერ შეუტყო ქსენიას ეშმაკობა და ისე გაიტაცა მისმა გარეგნობამ, რომ საუკუნო სიყვარული შეჰფიცა. ქსენია ივანოვნას არ მოსწონდა მიხა ბარელი, მაგრამ ვიდრე თავის საქბილოს მოსძებნიდა, იმედს არ უკარგავდა.

„აი, ეს მიხა ბარელი იყო ერთად-ერთი უცნაური ყმაწვილი ჩვენ შორის. მშვიდი და უწყინარი, მუდამ დაღვრემილი და ჩაფიქრებული, რაღაც ოცნებებს გამოჰკიდებოდა, რაღაცას იდეალისტობდა და თითონ რომ მშიერი კვდებოდა, სხვის ბედნიერებაზე ჰფიქრობდა!.. არ ვიცი, ახლა რა ურთიერთობა გაქვთ ახალგაზდებს, მაგრამ ჩემ დროს კი ამხანაგებს ერთმანეთი მაინც და მაინც არ გვეპრიანებოდა. მართალია, პირში არ ვაწყენინებდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ პირს უკან კი ერთმანეთის დაცინვა, გაბიაბრუება და ერთმანეთზე ჭორების გავრცელება ძალიან გვიყვარდა.

„ზურგს უკან მიხაც მასხარათა გვყავდა აგდებული, ხოლო გავიგეთ თუ არა მიხას სიყვარულის ამბავი, მაშინვე ყიჟინა დავკარით და ათასი საოხუნჯო ლექსი გამოვუთქვით. შეყვარებული მიხა კი არც არას ამჩნევდა და არც არას ისმენდა. იგი ატაცებულივით იყო და მხოლოდ ქსენიას კვალს ადგა. მთელი დღე უკან დასდევდა. საღამოდან შუაღამემდე მისას რჩებოდა და მორჩილი ლეკვივით სულ თვალსა და წარბში შეჰყურებდა. მიხა გახდა, დაილვრიმა, გაავზნიანდა. მას საშინლად აბრაზებდა ქსენია ივანოვნას სითამამე, ცეცხლს უკიდებდა ხოლმე მისი სხვასთან გამოლაპარაკება, გახუმრება; გული შხამითა და ნაღვლით ევსებოდა, როცა ქსენია ივანოვნა დანიშნულ დროს არ შეჰხვდებოდა, ან ბინაზე არ დაუხვდებოდა ხოლმე. ჩვენ კი სიცილით ვიგუდებოდით და მიხას სულელად ვრაცხდით. ქსენია ივანოვნასაც მობეზრდა მიხას ჟინიანობა და... ერთ მშვენიერ დღეს გაფრინდა კიდეც... ერთმა ახოვანმა და მოხერხებულმა პოლონელმა სტუდენტმა დასჯაბნა ქსენია ივანოვნას ცბიერება, დაიპყრა მისი ქალური სიამაყე და ერთ ხანს თავის ყურ-მოჭრილ მონად გაიხადა. იმ სტუდენტმა და ქსენია ივანოვნამ „სამოქალაქო წესით“ დაიწყეს ცხოვრება. ორივეს ასეთი საქციელი არავის გაჰკვირვებია, რადგანაც ჩემ დროს „იმხობოდა ძველი წესები“ და ყველა ახლის მიმდევარი გმირად ითვლებოდა. ამ ამბავმა მხოლოდ მიხას დასცა თავ ზარი! იგი წელში მოიხარა, გაყვითლდა, გავეღლურდა და ამხანაგებს ნელ-ნელა ჩამოგვშორდა... ამ მოვლენასაც ამხანაგებმა სიცილი დავაყარეთ; მიხას სიყვარული და თითქმის თვით მიხაც დავიწყებას მივეცით.

„გავიდა ექვსი თუ შვიდი თვე. დღე დღეს მისდევდა უმნიშვნელოდ, უფერულად. ღამდებოდა და თენდებოდა თავის დროზე, ხალხი იხოცებოდა და მრავლდებოდა, ჩვენც დღენი გვაკლდებოდა, მაგრამ ისე ვიყავით გატაცებულნი ჩვენის გულისთქმით, ჩვენის კერძო ცხოვრებით, რომ ერთხელაც არ დავფიქრებულვართ ჩვენს აწმყოზე... ვცხოვრობდით ისე, ალალ-ბედზე... ღვთის ანაბარად. ზოგი მშიერი ვიყავით, ზოგი მაძღარი... ათასში ერთხელ წერილებიც მოგვდიოდა შინიდან,—გვეხვეწებოდნენ, ისწავლეთ და კარგი კაცები გამოდითო, მაგრამ „კაი კაცობა“ ყველას ჩვენებურად გვესმოდა და ჩვენებურადვე ვატარებდით დროსა და ჟამსა.

„ერთხელ ჩემ ოთახში ვიჯექ და ჩემ ბებერ დიასახლისს ვეარშიყებოდი... უნდა გაგეგონა, როგორ იპატარავებდა თავს ორ-კეც ოჯახს გამოვლილი დედაკაცი, როგორ მეფიცებოდა სიყვარულსა და ერთგულებას, რომ სიცილით მომკვდარიყავ! მეც გულში მეცინებოდა, მაგრამ მაინც თავს ვუკანტურებდი, ნიშნად თანაგრძნობისა... ამ დროს ვიღაცამ ზარი ჩამორეკა. ჩემი დიასახლისი უსიამოვნოდ დაიღრიჯა და კარის გასაღებად დერეფანში გავიდა.

— ვიღაც ქსენია ივანოვნაა!— უკმაყოფილოდ შემოსძახა დიასახლისმა.

— ააა! ქსენია ივანოვნა?!... ჩემი ამხანაგია, უთხარი მობრძანდეს! გავძახე ოთახიდან.

დიასახლისმა რაღაცა წაიდუდუნა და გაჯავრებით თავის ოთახის კარები შეიკეტა.

— ქსენია ივანოვნა, ქსენია ივანოვნა!... სად დაიკარგეთ? აქამდე ქმარი ვიშოვნეო, განა ეგრე უნდა ამხანაგის დავიწყება? კარებშივე მივეგებე და ვუსაყვედურე.

— გამარჯვებათ, ამხანაგო!... ნუ ჩქარობთ, ყველაფერს გაიგებთ, თუ ერთ—ორ წუთს მაჩუქებთ.—მიპასუხა ქსენიამ და ჩემი ოთახის ზღურბლს გადმოაბიჯა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო! თუნდაც მთელი საღამო თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს! და პალტოს ჩამოსართმევად მივაშურე.

— ნუ სწუხდებით... მე თითონ გავიხდი!—სთქვა ქსენიამ, პალტო და შლიაპა სულ გაიხადა და სკამზე ჩამოჯდა.

ქმრიანობის შემდეგ ქსენია ივანოვნა უფრო დამშვენდა... ლოყები წითელ ატლასის ფერად ულვიოდა, მკერდი გაუფართოვდა, სხეული დაუნაკვთდა... ალტაცებით შევყურებდი ვნებათა ღელვით აღსავსე ქსენიას და ენას ვეღარ ვიბრუნებდი...

— ახალი ამბავი უნდა შეგატყობინო, ამხანაგო!—დაარღვია სიჩუმე ქსენია ივანოვნამ:—მე და ოსკარმა ყოველივე ურთიერთობა გავწყვიტეთ. იგი სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში გადავიდა... იქვე სცხოვრობს მისი სასიმამრო, მდიდარი პოლონელიც... ოხ! ეს პოლონელები!! რა გაუტანლები, რა ნაციონალისტები არიან: რუსის ქალთან სამუდამოდ ვერ ვიცხოვრებ, ვაი თუ შვილები გამიჩნდეს და ხომ ვერ გავარუსებო! ისე უცხვად გამომიცხადა და ურცხვადვე გამშორდა .. უმსგავსი, საძაგელი!... ამოიოხრა ქსენიამ და მერე დაუმატა—ნეტა მიხა ბარელს მაინც გავყოლოდი, ის ისე უსინდისოდ არ გამეყრებოდა... მერე, რომ იცოდე როგორ ვუყვარდი?!—დაამოლოვა ქსენიამ და რაღაც წერილი გამომიწოდა.

„ვიდრე მე წერილის კითხვას დავიწყებდი, ქსენიამ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, თვალებზე მიიფარა, თავი მაგიდაზე დააყრდნო და ტირილი ამოუშვა. წერილი მიხასი იყო და იმ თარიღით დაწერილი, რა დღესაც ქსენიამ ოსკართან ცხოვრება დაიწყო. დაწვრილებით აღარ მახსოვს იმ წერილის შინაარსი, მაგრამ ბევრ რაღაცაებს კი როშავდა... საყვედური და ფიცი, ვედრება და მუქარა, მზე და მთვარე, ოხვრა და ცრემლი, ბულბული და ია-ვარდები ერთმანეთში იყო არეული. შეყვარებული კაცი და გიჟი ხომ ორივე ერთია... ამ წერილს ჩემთვის, ჩუმადა ვკითხულობდი, მაგრამ ქსენია ივანოვნამ თავი მაღლა ასწია და ცრემლ მორეულის ხმითა მთხოვა: ხმამაღლა წამეკითხნა. მეც თხოვნა ავუსრულე რაც ქვევითა და ქვევით ვკითხულობდი, ქსენიაც ტირილს უმატებდა, და ბოლოს კი ისე ათრთოლდა და აქვითინდა, გეგონებოდა ფილენჯი დაემართაო. მართალი გითხრა, ვერ გავიგე: ოსკარსა სტიროდა, თუ მიხას, მაგრამ მაინც შემეცოდა. ლამაზი ქალის ტირილი ადვილი ასატანი არ არის!

„— ნუ სწუხართ, ძვირფასო ქსენია ივანოვნა! არა უშავს-რა... ყველაფერი წარმავალია... აბა ცოტა წყალი ჩაყლაპეთ!—ამ სიტყვებით მიუახლოვდი, ცალი ხელით თავი ავუწიე და მეორე ხელით წყალით სავსე ჭიქა გავუწოდე. ქსენიამ ცოტა მოსვა და თავი ისევ მაგიდას დაახეთქა: ცრემლებად იღვრებოდა. ახლა კი დავდგი ჭიქა, გვერდზე მოვუჯექი. ცოტა ხანს იქით თავი კვლავ ავუწიე, ხელსახოცით თვალები და ლოწვები გავუწმინდე და ჩემსკენ მოვიზიდე. ქსენიაც ნებას მომყვა და თავი მკერდზე მომაყრდნო.—ნუ სტირით... თავი აგტკივდებათ... არა უშავს-რა... ყველაფერი წარმავალია!..—იდიოტივით ჩავძახოდი ერთსა და იმავე სიტყვებს და თან შუბლზე ხელს ვუსვამდი. ქსენია მაინც ყრუდ ქვითინებდა. საკვირველია, ღმერთმანი, როცა ნუგეშინის ცემაა საჭირო, სწორედ მაშინ დაავიწყდება ხოლმე კაცს სანუგეშო სიტყვები. მეც რომ ვეღა-

*) იხ. «დროება» N 252.

✦ **მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა სახალხო სკოლებში.** კავკასიის სამოსწავლო მთავრობამ თხოვა ტფ. სააბრეშუმო სადგურის გამგეს, მოაწოდოს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დაჯდება სახალხო სკოლებში მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებების მოწყობა.

✦ **ლექცია.** დღეს ტფ. საკრებულო დარბაზში ნაფიცი ვექილი ი. ი. ანტუშევიჩი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ქალები ვექილებად“.

✦ **ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება.** კავკ. ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას გადაუწყვეტია, გახსნას კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში თავისი განყოფილებები.

✦ **მეურნეთა კრება.** 11 ნოემბერს თავ. ნ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა მეურნეთა კრების საორგანიზაციო ბიუროსი. ბიურომ დაადგინა, მეურნეთა კრების გახსნის დღეს, ხვალ 15 ნოემბერს, აირჩიონ თავმჯდომარის ამხანაგი და ორი მდივანი. ბიურო თითონ დაასახელებს თავმჯდომარის ამხანაგის და მდივნების კანდიდატებს. საორგანიზაციო და მოულოდნელ საკითხების გადასაწყვეტად, ბიურომ დაადგინა, კრების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, მოახდინოს კრება სექციათა თავმჯდომარეებისა და კრების თავმჯდომარისა. ოქმების შესადგენად თითონ სექციებმა უნდა მოიწვიონ ცალკე პირები. ოქმის შემდგენელს დღეში მიეცემა 3—5 მანეთამდე. პრესის წარმომადგენელთა და საპატიო სტუმართა გარდა კრებას დაესწრებიან კრების ის წევრები, რომელთაც ბილეთები ექნებათ.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 16 ნოემბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე, სხვათა შორის, განიხილავენ 1910 წლის შესავალ-გასავლის აღრიცხვას და მოხდება არჩევნები საფინანსო, სამეურნეო და სხვა კომისიებისა და საბჭოს მდივნისა, რადგან ახლანდელ მდივანს მ. ა. ჯაბარს ვადა უკვე გაუვიდა.

✦ **პოლიციელის დასჯა.** ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ 9 დღით პოლიცმეისტერის სამმართველოსთან დაპატიმრებულ იქმნას უბნის ზედამხედველი გუგულავა. რადგან მან არ შეაჩერა ვ. გელეიშვილი ლექციის კითხვის დროს.

✦ **სამეურნეო განყოფილებათა ინსპეკტორი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სთხოვა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, დაუსახელოს ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლიან თვალყური ადევნოს სახალხო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა მდგომარეობას. ასეთ კაცს წლიურად 2000 მანეთი დაენიშნება.

✦ **კერძო კრება ხმოსანთა.** დღეისთვის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია კერძო კრება ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთი ჯგუფისა. თათბირის საგანი—ქალაქის სამეურნეო საკითხები.

✦ **აბასთუმნის სამკურნალო წყლები.** სამინისტრომ დაადგინა აბასთუმნის სამკურნალო წყლები თავის მიდამოებით გადაეცეს სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს. სამხედრო სამინისტროს ხელში დარჩება მხოლოდ აბასთუმნის სამხედრო სამკურნალო.

✦ 12 ნოემბერს, ასე ნაშუადღევის 2 საათზე, ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ ვილგელმოვს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაულევია საწამლავი. გრძნობა-დაკარგული ვილგელმოვი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

✦ 13 ნოემბერს, ნაშუაღამევის 3 საათზე, რკინის გზის ლიანდაგის იქით, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სახლის სახურავს რკინის ფეჩის უზომო გახურებით გაჩენია ცეცხლი, რომელიც მეხანძრე რაზმის შემწეობით ჩაუქრიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემო სართული მთლად გადაიწვა. სახლი დაზღვეულია რუსეთის მე-3 დამზღვევ საზოგადოებაში. ზარალი 3000 მანეთს უდრის.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მივმართავ საზოგადოებას თხოვნით, შემწეობა აღმოუჩინოს ერთ ღარიბ მოსწავლეს სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეხუთე კლასისას—ალ—ვს, რომელსაც არავითარი საშუალება არა აქვს, რომ თავი ირჩინოს. მეხუთემდე მიაღწია ტანჯვა-წვალებით. ხან მოწაფე ჰყავდა, რომელიც ოთხს ან სამ მანეთს აძლევდა, და მით ივვებავდა თავს. სახლიდან არაფერი შემწეობ არა აქვს, რადგან სახლში უფრო დიდ გაჭირვებას განიცდიან. ახლა მოწაფეც არა ჰყავს. ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია, მეხუთე კლასის მოწაფეს, ალ. ალგუზოვს“.

✦ 12 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან ადმინისტრატიულად გაძევებული, მაგრამ თავიანთ ნებით დაბრუნებულნი გორის მაზრის მცხოვრებნი კონსტანტ. კაზიშვილი, და ისააკ ქიტუაშვილი და ტფ. მცხოვრები ილია მაისურაძე.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ.** 10 ნოემბერს ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო სხდომები სათათბიროსი ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ. პირველი სხდომა მოხდა საგუბერნიო სამმართველოს დარბაზში, შემდეგი სხდომები კი ხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში საღამოს 8 საათზე. თათბირში გუბერნატორის-მიერ მოწვეულია 70 მდე კაცი, რომელთა დიდს უმეტესობას შეადგენენ სხვა-და-სხვა დაწესებულების მოხელენი. რაღაც მიზეზის გამო, არ მიახვნენ: გ. ფ. ზდანოვიჩი, დ. ბ. ხელთუფლიშვილი, მ. ა. ქიქოძე, ა. ს. საყვარელიძე, ი. გ. აბაშიძე, დ. ა. მიქელაძე, დ. ბ. მდივანი (ავტორი თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს მიერ შემუშავებულ პროექტისა) და სხვანი, რომელთაც თავიანთ ცოდნითა და გამოცდილებით შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ საერობო თათბირისათვის. თათბირს საფუძვლადა აქვს სამი პროექტი: ნამესტნიკის, მცირე საერობო კომისიისა და თავად-აზნაურ დეპუტატთა საკრებულოსი. პირველ ორი დღის განმავლობაში სათათბიროს მიერ დადგენილ იქმნა: შემოღებულ იქმნეს ორ-სართულიანი ერობა: მცირე საერობო ერთეული და საგუბერნიო ერობა; ერობა უნდა იქმნეს ყოველ წოდებრივი (всесословный), ე. ი. ერობაში უნდა შედიოდნენ როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაურები და სასულიერო წოდების პირნი—მცირე საერობო ერთეულში უნდა შედიოდეს 2000—3000 კომლი; საგუბერნიოში-კი — მთელი გუბერნიის მცხოვრებნი. დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, მცირე საერობო ერთეულში დარჩეს ისევ ძველი სამამასახლისო პოლიციურის უფლებებით, საერობო ერთეულის უფროსს კი მხოლოდ სამეურნეო ნაწილის მართვა-გამგეობა მიენდოს, თუ, როგორც ადმინისტრატიულ-პოლიციურის, ისე სამეურნეო ნაწილის მართვა-გამგეობა ერთი პირის ხელში მოთავსდეს. სათათბირომ ფარულის კენჭის ყრით, 34 ხმის უმეტესობით 11 წინააღმდეგ, დაადგინა, რომ მცირე ერთეულის ხელში მოათავსოს მართვა-გამგეობის ორივე ნაწილი. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ იმ პირთ, რომელთაც ექნებათ ისეთი ქონებრივი ცენზი, რომ წლიურად იხდიდნენ არა ნაკლებ ერთის მანეთისა, ან მიღებული ექმნებათ არა ნაკლებ საშუალო განათლებისა. მცირე საერობო ერთეულში ყოველ ასს კომლზე ირჩევენ ერთ ხმოსანს, საგუბერნიო ერობაში-კი შეიძლება არჩეულ იქმნეს არა უმეტეს 60 ხმოსნისა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** იმას, ვინც ხუთშაბათს ქართულ თეატრში იყო, მოეწონა ამ საღამოს წარმოდგენა. „ახალი მოძღვრება“ ძნელი პიესაა; სხვა ხანა, სხვა ცხოვრებაა იქ დახატული და ჩვენ მსახიობებს მეტს ვერ მოვთხოვთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი თეატრი სასცენო მოწყობილებით და ტანისამოსით საკმაოდ მოიკოჭლებს.

უმთავრესი ნაკლი ყველა ქართულ წარმოდგენისა, საზოგადოდ, და, კერძოდ, ამ დღისაც უანსამბლობა და წვრილმანების უყურადღებოდ დატოვებაა. ამისი მიზეზი ალბად ის არის, რომ რეპეტიციები ნაკლებად იმართება. გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ რეჟისორებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ხოლმე ანსამბლს. ხშირად მსახიობნი ცალ-ცალკე მშვენივრად თამაშობენ და ანსამბლიც რომ შესაფერი იყოს, წარმოდგენას სულ სხვა ელფერი დაედებოდა. სხვათა შორის, გაუწვრთნელი სტატისტები ძალიან ხშირად აფუჭებენ ანსამბლს. აი, ეხლაც სტატისტების წყალობით პირველი მოქმედება ულაზათოდ გამოვიდა. მეტად უშნოდ ევირდნენ—„სიკვდილი ქრისტიანებსაო“. ზედაც ქ-ნი მდივანი დროზე არ გამოუშვეს სცენაზე და ამან უფრო გააფუჭა საქმე. მეხუთე სურათში, მარკთან ქეიფის დროს, ალბად შიშით, სტატისტები სულ არ გამოუშვეს სცენაზე. სურათი მკრთალი გამოვიდა, რადგან დიდებულ, ნაძლევიან რომაულ ქეიფს დაესწრო მხოლოდ ერთი ქალი და სამი კაცი... ამას გარდა, ხშირად მსახიობები იმ კარებით და იმ მხრით არ გადიან და შემოდიან, რომლითაც საჭიროა, იქით არ იყურებიან, საიდანაც მოელიან ვისმეს. ასეთი წვრილმანი მრავალია, რომლის თავიდან აცილება ადვილია, თუ რეჟისორი და მსახიობნი გულის-ყურს დაუდებენ. ერთი ნაკლიც, რომელიც მარტო ჩვენ სცენას ახლავს: მოქმედების დროს თითქმის ყველა კარსა და ფანჯრიდან იჭყიტება ვინმე, ზოგს თავი უჩანს, ზოგს ხელი და ზოგს ფეხი. აგრეთვე ისე კარი და ფანჯარა არ გაიღება სცენაზე, რომ თქვენ თვალ-წინ ვინმე გარეშე არ გამოიჭიმოს...

კოტე მესხმა ბევრი თავისებურება შეიტანა ნერონის როლში. მისი ნერონი ორიგინალური და საინტერესო იყო. მსახიობმა ნერონის პირფენებაში საგ.გასმით აღნიშნა სწორედ ის, რაც ისტორიამ გადმოგვცა—უზომო, შეუბრალებელი მტარვალობა და სიტუტუცით შეზავებული მედიდურობა, თავისთავზე გადაჭარბებული წარმოდგენა. მსახიობი უნაკლულო იყო.

ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ზარდალიშვილი მეტად გამოსადეგი ძალაა ქართულ სცენისათვის. იმის თამაშობას ეტყობა სკოლა, რასაც ტფილისელ მსახიობებზე ვერ ვიტყვით. ყველა როლში თავი თამამად და პიესის შესაფერისად უჭირავს, აქვს მანერები, თავისუფლად ლაპარაკობს. მარკის როლში უფრო კარგი იქნებოდა, რომ რიხიანი და ძლიერი ხმა ჰქონდეს, რაც ამ პიესაში აუცილებელია. ნაკლი ამ მსახიობისა წინა რეცენზიებში უკვე აღვნიშნეთ—ეს არის არა მკაფიო გამოთქმა.

მშვენიერნი იყვნენ: დაკიას როლში ქიღარჯიშვილი, გლაბრიონისა—გედევანოვი და ლიციოსისა—ტ. აბაშიძე. აღსანიშნავნი არიან კიდევ მდივანი, შოთაძე, კარგარეთელი და გამყრელიძე. სხვები სუსტობდნენ.

—

**სახალხო წარმოდგენა.** ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, ზუბალაშვილთა სახალხო სახლში წარმოადგინეს „ორი ობოლი“. როგორც ყოველთვის, წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ სახალხო თეატრმა უკვე გაიჩინა თავისი მაყურებელი. ამ სახალხო წარმოდგენას ესწრობიან არა მარტო მუშები და ახალგაზრდობა, არამედ დიდი ნაწილი ჩვენი ღარიბ ინტელიგენციისა. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ 12 ნოემბერს მუშები შედარებით ნაკლებ დაესწრნენ. კვირა-უქმე დღეს მუშები უფრო ბლომად არიან ხოლმე.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო მსახიობმა ქ-ნმა ნატ. გაბუნია-ცაგარლისამ და ქ-ნთ ი. გოგოლაშვილმა, ა. ქიქოძემ. ო. ლეჟავამ. ბ-ნი ი. ზურაბიშვილმა, ნ. გოცირიძემ, ხახანაშვილმა. მეტრეველმა და სხვებმა. ქალების თამაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ნ. გაბუნია-ცაგარელზე ადარას გამბობთ. ამ როლში იგი შეუდარებელია. ქ-ნი ქიქოძე (ჰენრიეტა) საერთოდ მოხდენილად თამაშობდა. ადაგ-ადაგ ისე დიდს შთაბეჭდილებასაც ახდენდა, რომ მაყურებელთა სულსა და გულს იტაცებდა. რა სასიამოვნო სანახი იქნებოდა ა. ქიქოძე, გამოთქვამს რომ შეიმუშავებდეს. თითქოს ძალად უჭერს კრიჭასაო. ლეჟავაც (დუიზა) კარგი იყო. ქიქოძემ და ლეჟავამ კარგად ჩაატარეს მეხუთე მოქმედება. ვაჟების როლები უკეთესად შეასრულეს ზურაბიშვილმა (ჟაკი), მეტრეველმა (პიერი) ხახანაშვილმა (გრაფი) გოცირიძემ (პიკარი) როლები მშვენივრად იცოდნენ. სცენას და ანსამბლს, როგორც ყოველთვის ეტყობოდა მზრუნველი ხელი რეჟისორის შათირიშვილისა. ბოლო მოქმედების შემდეგ ხანგრძლივის ტაშით დაჯილდოვეს როგორც მსახიობნი, ისე დაუღალავი რეჟისორი.

—

**სეზონის დაწყება ვერის აუდიტორიაში.** დღეს, 14 ნოემბერს, [illegible] აუდიტორიაში. წარმოდგენილი იქნება [illegible] მონაწილეობას იღებენ ქ-ნი იორდანოვი, მეტრეველი, შანგვტაძე, შიდიქაშვილი, ქ-ნი გოროშვილი, ბერძე და სხვანი წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

—

**გაბუნია-ცაგარელის იუბილეი.** ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოებას დაუდგენია მონაწილეობა მიიღოს გაბუნია-ცაგარლის იუბილეში. ამ საქმისთვის საზოგადოების კომიტეტს აურჩევია კომისია.

## სასამართლო

**მკვლელობა სიყვარულის გამო.**

10 ნოემბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საქმე. დამნაშავის სკამზე იჯდა 24—25 წლის ყვავწვილი კაცი ავქსენტი ცომაია. ცომაიას ბრალდებოდა მოხუც მასხულიას მოკვლა. საბრალდებულო ოქმი ასე გადმოგვცემს: მკვლელობა მომხდარა რევოლუციონურ მოძრაობის დროს სადგურ აბაშის ახლობლად ღამე, როდესაც მასხულია თავის ნათესავის თანხლებით, სადგურიდან სახლში ბრუნდებოდა გზაზე თავს დასცემია ოთხი შეიარაღებული კაცი რამოდენიმეჯერმე რევოლვერი უსროლიათ და მოხუცი მასხულია სასიკვდილოდ დაუჭრიათ, მაგრამ სროლის ხმაზე მოსულ პოლიციელებისთვის მაინც მოუსწრია ჩვენების მიცემა. ერთი დამცემთაგანი უცვნია კიდეც, ის ყოფილა მისი მეზობელი ავქსენტი ცომაია.

მოხრცს მასხულიას ჰყოლია მეტად ლამაზი ქალი თამარ. თამარის სილამაზის ამბავი თითქმის მთელ სამეგრელოში ყოფილა გავარდნილი. მისი სილამაზეს ყველაზე ძალიან ცომია მოუხიბლავს. მას განუზრახავს, რადაც უნდა დასჯდომოდა შეერთო თამარი ცოლად. მიუმართავს მამისათვის, მაგრამ ცივი უარი მიუღია. და თვითონ ქალსაც არა სდომებია ცომიაზე გათხოვება. მაშინ ცომიას გადაუწყვეტია თამრის მოტაცება. რომ განზრახვა სისრულეში მოეყვანა და წინ არავინ გადაღობობოდა, გადაუწყვეტია ქალის მამის მასხულიას მოკვლა რაც სისრულეში მოუყვანია კიდეც 1905 წელს, ნოემბერს.

გასულა ხანი და ცომაია დაუპატიმრებიათ და მისი საქმე გადაუციათ ქუთაისის ოლქის სასამართლოსათვის განსახილველად. საქმის განხილვის დროს სასამართლოში სრულებით არ წაუკითხნიათ მომაკვდავ მასხულიას ჩვენება და რადგან მოწმესაც ცომაიას სასარგებლოდ ულაპარაკნიათ, სასამართლოს ცომაია გაუმართლებია. ბრალმდებელს საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაში განუსაჩივრებია.

როგორც ზემოდა ვთქვით, პალატამ 10 ნოემბერს განიხილა ეს საქმე. დამნაშავედ იცნო ცომაია მასხულიას მკვლელობაში და მიუსაჯა სამი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.


## განცხადებანი

**კიროვლი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეკტაბეგოვი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგ. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ბ. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარცინოვსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(ჴ.—1—216)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღონემახათოებით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—)


რას გავხდი, პირი ყურთან მივუტანე და საალერსო სიტყვები ჩავჩურჩულე:—ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო! ნუ სტირი... ნუ!—და თან ყურის ბიბილოზე ტუჩებით ვეხებოდი. ცოტა ხნის შემდეგ ქიჩორზე ვაკოცე... მერე შუბლზე... მერე ტუჩებიც ჩავკოცნე. ქსენია გაყუჩდა... გაჩუმდა... და მალე ორივე თავდავიწყებამ შეგვიპყრო... ერთი საათის უკან, ქსენია მშვიდად მოსჯდომოდა სამოვარს და ჩაის აკეთებდა. ხანდისხან მორცხვად შემომხედავდა ხოლმე და ეშმაკურად მიღიმოდა. ამ ღიმილში ჩემთვის იხატებოდა სამოთხეც, ჯოჯოხეთიც და მთელი ქვეყნის ცხიერებაც!..

ამ დროს მატარებელი ერთი ძალზე შეირყა და უცბად შეჩერდა. ზემო თაროდან ბარგი გადმოცვივდა, ჩვენ კი ჯიბუანი მოვილეთ. ხალხი აშმაურდა, აირია. ყველანი კარფანჯარებს ვეცით, გვეგონა მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდაო. ბევრი აურზაურის შემდეგ, გამოირკვა, რომ ერთ მთვრალ კაცს ფანჯრიდან ქუდი გადავარდნოდა, მეორე მისს ამხანაგს კი მატარებლის გასაჩერებელი სახელური მოეწია და მატარებელი იმიტომ გაჩერებულიყო.

გაისმა ხალხის წყევლა-კრულვა სუმარა ლოთ-ფოთებისადმი, მატარებელმაც ამოიქშინა და ისევ თავის გზას გაუდგა.

— ახლა შენა გკითხავ,—შემომძახურა გრიგოლ პეტროვიჩი, როცა მტვრის ფრიალმა გადაგვიარა:—ჩვენი ცხოვრება, ჩვენი არსებობა ტრაგედიაა, კომედიაა, თუ შემთხვევათა ჯამი და შედეგი?

მართალი მოგახსენოთ პასუხი ვერ მივეცი.

— ახლა რომ მატარებელი მართლა დამსხვრეულიყო და ამ ტრიალ მინდორში ჩავმკვდარიყავით, ვინა გაგვაცოცხლებდა? არა, ძმავ, ყველა ჩვენთაგანი უნდა ვეშურებოდეთ, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება ვნახოთ ამ წუთი სოფელში. ეს არის ჩემი ფილოსოფიაო!—მშვიდად დაამთავრა გრიგოლმა და პაპიროსს მოუკიდა.

— სიამოვნებითვე გავატარე რამდენიმე კვირა ქსენია ივანოვნასთანაც, — განაგრძო პეტროვიჩმა, როცა ერთი-ორი მაგარი ნაფაზი ჩაჰკრა—მაგრამ რადგანაც ამ ქვეყნად დაუსრულებელი არ არისრა, ჩვენ გატაცებასაც ბოლო მალე მოეღო და... ერთ მშვენიერს დღეს, ისევე მოულოდნელად დავშორდით ერთმანეთს, როგორც მოულოდნელი იყო ჩვენი შეყრაშეხვედრა. ჩვენი კავშირი ჯერ არავის გაეგო და მით უფრო სადავო არა გაგვიხდა რა... ეს იყო მშვენიერი სიზმარი, რომელიც დროთა სვლამ სრულებით დაგვავიწყა მეცა და ქსენიასაც...

„გავიდა ერთი თუ ორი წელიწადი. რამდენჯერმე მოვიარეთ ჩვენი სამშობლო და რამდენადაც იქ ჩვენით იმედიანობდნენ, იმდენად აქ, რუსეთში, ჩვენ თვითონ უიმედობას ვებრძოდით: სად წავსულიყავით და სად გვეშოვნა უზრუნველი ლუკმა და თბილი ადგილი? აი, ამ საკითხმა შეგვიპყრო ყველანი და თითოეული ჩვენთაგანი უფრო განმარტოვდა, უფრო გათავისწინდა. ჩვენ ყველანი სხვა-და-სხვა დარგის „მეცნიერნი“, სხვა-და-სხვა მომზადებისა და გულის-თქმისანი ვიყავით, საერთო-კი სამშობლოს მეტი არა გვქონდა-რა და ეს სამშობლოც ისეთი პაწია, უმნიშვნელო და დაკნინებული გვეჩვენებოდა ამ სიშორიდან, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენ სურვილს გაძღომისა და გათბობისადმი. გარდა ამისა, იმ დროს სასიცოცხლოდ აზვირთებული ცხოვრება ხალხისა, ეგრედ წოდებული რუსეთის რევოლიუცია, უკვე ჩამქრალი იყო. ყველაფერი დაცხრა, ყველაფერი დაწვრილმანდა, ქვეყნად ისევ მუშტი და კუჭი გამეფდა და რადგანაც უბრალო მომაკვდავთა ყულს და თავს კუჭი ყოველთვის სჯობნის ხოლმე, ყველანი ისევ კუჭის საკითხმა აიყოლია, ან კი როდის არა ყოფილა კუჭი ქვეყნის აზარმაცად? მართალია, მეტის მეტი პროზაიკული რამ გახლავთ ეს „კუჭი“, მაგრამ თუ „კუჭი“ მაძღარი არა აქვს ადამიანს, იგი ადამიანობასაც ვერ დაიჩემებს. „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო“—უთქვამს ჩვენ ძველებს. მე კი ვამბობ: „ჯერ კუჭო და მერე თავო“, ჯერ ძილი და მერე სიზმარო“. ჯერ გამაძღე, გამათბე, ჯან საღად მამყოფე და მერე მომთხოვე ქვეყნის სამსახური, თორემ რა ნება აქვს ადამიანთა კრებულს, საზოგადოებას, თავისგანვე დამონებულ გლახაკს მომთხოვოს თავის განწირვა, „მოძმისადმი“ სამსახური. ეს ხომ ასეა (ჩემის ულრმესის რწმენით, რასაკვირველია), მაგრამ „ხალხი“ მაინც თავისას არ იშლის და თითოეულ თავის წევრს თავის ნებაზე ათამაშებს, თავის ხელ—ქვეითად იხდის და... ვაი, იმას, ვინც „საზოგადოებრივ აზრს“ არ დაექვემდებარება!... იგი გარიყული, გათითშული დარჩება!... ასეთან უცნაურობის ბრალი, რომ ჩვენ, ყველანი, ნიღაბს ვატარებთ და გულწრფელ ადამიანს ორს ვერ შეხვდები შენ სიცოცხლეში. ძალადობა ჰქმნის ფიზიკურ მონობას, ხოლო საზოგადოებრივი გულ ჩახვეულობა და უსამართლობა ჰქმნის თვალთმაქცობას... ვთვალთ-მაქცობდით მეცა და ჩემი ამხანაგებიც. ჩვენი პირადი გულსთქმის გამომღავნება „საზოგადო აზრის“ წინააღმდეგობა იქნებოდა და რომ თავიდან აგვეცილებინა საზოგადოების რისხვა და ჩვენზე უვიცებსაც დიდ ვინმეებად მოვჩვენებოდით, ჩვენ იდეალად საჯაროდ კაცობრიობის სამსახური გამოვაცხადეთ. ზრუნვა სამშობლოზე,—რომელსაც, ჩვენში კი დარჩეს და სრულებით არ ვიცნობდით—გვეცოტავებოდა; თვის—ტომობა და მამულის—შვილობა დრო გადასულ მცნებათ გვეგულებოდა, გვეთაკილებოდა. კაცობრიობა!... კაცობრიობისათვის სამსახური! უჰ! რა ბუმბერაზი სიტყვა და ასპარეზია, არა მეგობარო?—დამეკითხა გრიგოლ პეტროვიჩი, ჩაიცინა და განაგრძო.—თქმა აღარ უნდა. რომ ეს ბუმბერაზი სიტყვა და ასპარეზი მხოლოდ სხვის განსაცვიფრებლად, სხვის თვალის ასახმელათა და ჩვენის ნიღბოსნობის დასაფარავად გვეკერა პირზე, თორემ არამც თუ კაცობრიობის ჯავრი და ფიქრი არა გვქონდა, არამედ უბრალო ქართულ გაზეთსაც კი არა ვკითხულობდით... ჩვენის ამხანაგის, ჩვენის სოფლის და ქვეყნის ყოფა ცხოვრებაც კი არ გვაფიქრებდა... ჩვენ მხოლოდ და ისევ ჩვენი პირადი სიამოვნება, პირადი ბედნიერება, პირადი უზრუნველყოფილება გვასულდგმულებდა...

„აი, ბატონო, მაგალითიც!.. მაგრამ ამაზე შემდეგ. საცაა მატარებელი დიდ სადგურზე მივა და თუ ცოტა ყელი არ ჩავისველე, ცუდათაა ჩემი საქმე!—ღიმილით დაათავა გრიგოლ პეტროვიჩმა და ფანჯარაში გაიხედა.

მართლაც მატარებელმა დაუსტვინა და მალეც გაჩერდა. სადგური... დიდებული და ძვირფასი სადგურია. აქ იცვლება მატარებლის ორთქმავალი, კონდუქტორთა ბრიგადა და რამდენიმე გზაც ერთად იყრება...

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ხსენებულ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, აცხადებს, რომ ამა 1909 წლის დეკემბრის თვეში, ბანკის სადგომში, ტფილისს (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი) საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 28 და 36 §§-ით დაწესებული გადასახადები 1909 წლის 1-ლ ივლისიდან 1909 წლის პირველ იანვრამდე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, რომელიც ტფილისის ქალაქშია და რომელზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული: ამა წლის 23 დეკემბერს, 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები იგირავება გრძელ ვადით, როგორც ქალაქის მამულები—ამა წლის 19 დეკემბერს; 3) სოფლის მამულებისა, რომელზედაც გაცემულია როგორც გრძელ-ვადიანი, ისე მოკლე ვადიანი სესხი—ამა წლის 21 დეკემბერს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის ძალით, მოხდება იმავე გამგეობაში 7 იანვარს 1910 წელს.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, დაიწყება ძირითად ვალის იმ დარჩენილ ჯამებიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნულ ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც სურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე ის მოკლე ვადიანი სესხი, რომლის ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქმნას, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკაა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა სურს, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნი ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა. მოვალეა წარმოადგინოს ბედ, გარდა ზემო აღნიშნულისა, კიდევ 10 პროცენტი თავდაპირველის თავნი ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედ-მეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მეიდველმა უნდა წარმოადგინოს თოთხმეტი დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებზე, რომლებშიაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომელშიაც გაცემულია. მოკლე-ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულია, მეიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა, დარჩენილი თავნი ვალი სრულიად უნდა იქმნას გადახდილი ნაღდ ფულად თოთხმეტი დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლია შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამ რიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გაიცნოს ყველა საქმე გასასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა. ამასთანავე ბანკი წინდაწინვე უცხადებს მამულების მეიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.

### ქალაქის მამულები

**რომელთა გირაოში გრძელ-ვადიანი სესხია მიცემული.**

საჯარო ვაჭრობა 23 დეკემბერს 1909 წელს.

### ტფილისის გუბერნია

### ქალაქ ტფილისი.

აბაშიძე-საფაროვისა მარიამ მიხეილის ასული: შენობები, მიწა ზომით $53^{1}/_{2}$ ოთხკუთხი საჟ. პირველ ნაწილში, მატერიალნი ქუჩაზე. თავნი ვალი 2910 მან. 38 კ., ნედოიმკა 148 მ. 95 კ., სულ 3059 მ. 33 კ.

ავეტიკოვისა ევგენია ვასილის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 300 ოთხკ. საჟ., მე 6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 2226 მ. 84 კ., ნედოიმკა 143 მ. 54 კ., სულ 2370 მ. 38 კ.

ავეტისოვი არტემ ოვაქიმის ძე: შენობები, მიწა ზომით 196 ოთხკ. საჟ., მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 15966 მ. 96 კ., ნედოიმკა 1209 მ. 66 კ., სულ 17176 მ. 62 კ.

ავეტისოვი სერგეი ოვაქიმის ძე: შენობები, მიწა ზომით 122 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ბულვარის ქუჩაზე. თავნი ვალი 18472 მ. 95 კ., ნედოიმკა 754 მან. 12 კაპ., სულ 19227 მ. 07 კ.

აგარონოვისა ეკატერინე იაგორის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 32 ოთხკ. საჟ., მე-5 ნაწილში, თომას ქუჩის შესახვევში. თავნ. ვალი 2487 მ. 53 კ., ნედოიმკა 186 მ. 48 კ., სულ 2674 მ. 01 კ.

ალნიაშვილისა მარიამ მიხეილის ასული: შენობები, მიწა ზომით 150 ოთხკ. საჟ., მე-5 ნაწილში, არგუთინსკის ყრუ ქუჩაზე. თავნი ვალი 2640 მ. 84 კ., ნედოიმკა 135 მ. 33 კ., სულ 2776 მ. 17 კ.

ალნიაშვილისა ელისაბედ სვიმონის ასული: შენობები, მიწა ზომით 90 ოთხკ. საჟ., მე-3 ნაწილში, სამების ქუჩაზე და შესახვევში. თავნი ვალი 9320 მ. 23 კ., ნედოიმკა 367 მ. 78 კ., სულ 9688 მ. 01 კ.

ადამიძე ანდრია ილარიონის ძე: შენობები, მიწა ზომით 136 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, დიდუბის ქუჩაზე. თავნი ვალი 1432 მ. 08 კ., ნედოიმკა 63 მ. 47 კ., სულ 1495 მ. 55 კ.

აივაზოვი ბაბა გიორგის ძე: შენობები, მიწა ზომით 95 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, განზრახულ ქუჩაზე. თავნი ვალი. 12379 მ. 12 კ., ნედოიმკა 487 მ., სულ 12866 მ. 12 კაპ.

აკოფაშვილი მელანია გიორგის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 91,8 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩაზე. თავნი ვალი 8813 მ. 41 კ., ნედოიმკა 352 მ. 45 კ., სულ 9165 მ. 86 კ.

აკოფოვი ავეტიკა ივანეს ძე: შენობები მიწა ზომით დაახლოვებით 30,7 ოთხკ. საჟ.; მე-5 ნაწილში სურფ-ნიშნის შესახვევში.

თავნი ვალი 3669 მან. 62 კ., ნედოიმკა 173 მან. 22 კ., სულ 3842 მან. 84 კაპეიკი.

აკოფოვი აბრამ გერასიმეს ძე: შენობები, მიწა ზომით 66,65 ოთხკ. საჟ.; მე-5 ნაწილში, პოლიციის ქუჩაზე.

თავნი ვალი 4743 მან. 27 კაპ., ნედოიმკა 224 მან. 68 კაპ., სულ 4967 მანეთი 95 კაპეიკი.

აკოფოვი ივანე პეტრეს ძე და კურკანსკი იაკობ ივანეს ძე: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 130 საჟ. 1 არშინი და 114 ვერშოკი ოთხკ. მე-4 ნაწილში, ოქროყანის ქუჩაზე.

თავნი ვალი 16513 მან. 28 კაპ., ნედოიმკა 326 მან. 44 კაპ., სულ 16839 მანეთი 72 კაპეიკი.

ალეინიკოვისა ალექსანდრე ლონგინოზის ასული: შენობები მიწა ზომით 114 ოთხკ. საჟ.; მე-2 ნაწილში მამადავითის შესახვევში.

თავნი ვალი 9061 მან. 12 კაპ., ნედოიმკა 440 მან. 41 კაპ., სულ 9501 მანეთი 53 კაპეიკი

ალექსიანცი ანნა სოლომონის ასული და ოქროშვილი ელისაბედ სერგეის ასული: შენობები მიწა ზომით 48 ოთხკ. საჟ; მე-7 ნაწილში სირაჩხანის აღმართში.

თავნი ვალი 2111 მან. 28 კაპ., ნედოიმკა 1256 მან. 31 კაპ., სულ 3367 მანეთი 59 კაპეიკი.

ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ იაკინთეს ძე: შენობები მიწა ზომით დაახლოვებით 176,77 ოთხკ. საჟ.; პირველ ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზე და უსახელო შესახვევში.

თავნი ვალი 30194 მან. 30 კაპ., ნედოიმკა 1322 მან. 03 კაპ., სულ 31516 მანეთი 33 კაპეიკი.

ალიევი მეშედი ბაგირ მამედ: შენობები და მიწა ზომით დაახლოვებით 96,4 ოთხკ. საჟ. პირველ ნაწილში უდელის ქუჩაზე.

თავნი ვალი 4840 მან. 30 კაპ., ნედოიმკა 220 მან. 95 კაპ, სულ 5061 მანეთი 25 კაპეიკი.

ალიმბაროვისა ევდოკია სტეფანეს ასული: შენობები და მიწა, ზომით 100 ოთხკ. საჟ. მე-10 ნაწილში ანდრეევის და გორის ქუჩების კუთხეში.

თავნი ვალი 16386 მან. 17 კაპ., ნედოიმკა 1066 მან. 44 კაპ., სულ 17452 მანეთი 61 კაპეიკი.

ამირალოვი ფრანც ივანეს ძე: შენობები და მიწა ზომით 630 ოთხკ. საჟ.; მე-9 ნაწილში მიხეილის ქუჩაზე.

თავნი ვალი 25169 მან. 59 კაპ., ნედოიმკა 1364 მან. 18 კაპ., სულ 26533 მანეთი 77 კაპეიკი.

ამინტოევისა ზელეიხან სამატბეკოვის ასული: შენობები და მიწა ზომით $59^{1}/_{2}$ ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწილში ფერისცვალების ქუჩაზე.

თავნი ვალი 2104 მან. 02 კაპ.; ნედოიმკა 117 მან. 31 კაპ., სულ 2221 მანეთი 33 კაპეიკი.

ამირბეგოვი ვართან გიორგის ძე: შენობები და მიწა ზომით 62 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწილში თუმანოვის ახლა კი იაზონოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2640 მან. 83 კაპ., ნედოიმკა 117 მან. 31 კაპ, სულ 2758 მანეთი 14 კაპეიკი.

ამირბეგოვისა ნინა ივანეს ასული: შენობები და მიწა ზომით დაახლოვებით 70 ოთხკუთხი საჟ.; პირველ ნაწილში კირპიჩნი ქუჩაზე.

თავნი ვალი 2796 მან. 70 კაპ., ნედოიმკა 168 მანეთი 68 კაპ. სულ 2975 მანეთი 38 კაპ.

არამაკლისოვი ალექსანდრე გაბრიელის ძე: შენობები და მიწა ზომით 231 ოთხკუთ. საჟენი; პირველ ნაწილში ჰავჰავაძის ქუჩაზე.

თავნი ვალი 22108 მან. 20 კაპ., ნედოიმკა 1083 მანეთი 29 კაპეიკი სულ 23191 მანეთი 48 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკი გიორგი ივანის ძე: შენობები და მიწა ზომით $503^{1}/_{2}$ ოთხკუთ. საჟენი მეორე ნაწილში სუდის ქუჩაზე.

თავნი ვალი 83988 მან. 54 კაპ., ნედოიმკა 3065 მანეთი 18 კაპეიკი, სულ 87053 მანეთი 71 კაპეიკი.

არღუთინსკი-დოლგორუკი გრიგოლ ალექსანდრეს ძე: შენობები და მიწა ზომით 202,8 ოთხკუთ. საჟენი მესამე ნაწილში მეორე ვოდოვოზნი ქუჩაზე.

თავნი ვალი 40409 მანეთი 32 კაპ., ნედოიმკა 2077 მან. 35 კაპ., სულ 42486 მანეთი 67 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკისა ელისაბედ სოლომონის ასული: შენობები და მიწა ზომით დაახლოვებით 453 ოთხკუთ. საჟენი; მეათე ნაწილში, დიდუბეში ელისაბედის ქუჩაზე.

თავნი ვალი 22129 მან. 99 კაპ. ნედომკა 954 მანეთი 46 კაპ. სულ 23084 მანეთი 38 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 31,77 ოთხკუთ. საჟენი; მეხუთე ნაწილში ერევნის მოედნისა და სომხის ბაზრის კუთხეში.

თავნი ვალი 13965 მან. 29 კაპ. ნედოიმკა 583 მანეთი 37 კაპ. სულ 14552 მანეთი 66 კაპ.

არნაუტოვები არტემა და დავით სარქისის ძენი (იგივე სერგეის ძენი): შენობები და მიწა ზომით 14 ოთხკუთ. საჟენი და ორ ნახევარ ოთხკუთ. არშინი! მესამე ნაწილში სალდათის ბაზარში, ბაზრის ქუჩაში და იმ შესახვევში, რომელიც გადის სამების საყდრისაკენ.

თავნი ვალი 4338 მან. 19 კაპ., ნედოიმკა 389 მანეთი 47 კაპ. სულ 4727 მანეთი 66 კაპ.

არუთინოვები ნატალია ქრისტეფორეს ასული, მნაცაკან, გრიგოლ, რუბენ, ავეტიკა, ნინო და მართა ალექსანდრეს ასულნი და ძენი: შენობები და მიწა, ზომით 67 ოთხკუთ. საჟენი; მესამე ნაწილში ვანქის ქუჩაზე.

თავნი ვალი 4135 მან. 42 კაპ., ნედოიმკა 160 მანეთი 27 კაპ. სულ 4295 მანეთი 69 კაპ.

არუთინოვი არტემ იაგორის ძე: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 28 ოთხკუთ. საჟენი და ერთ-ნახევ. ოთხკუთ. არშინი; მეექვსე ნაწილში აბანოსა და ბოტანიკურს ქუჩებზე.

თავნი ვალი 593 მან. 91 კაპ., ნედოიმკა 84 მანეთი 71 კაპ. სულ 678 მანეთი 62 კაპ.

არუთინოვები არუთინ მელქონის ძე და ნატალია სერგეის ასული: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 93,3 ოთხკუთ. საჟენი; მეცხრე ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე.

თავნი ვალი 11172 მან. 29 კაპ., ნედოიმკა 663 მანეთი 69 კაპ. სულ 11835 მანეთი 98 კაპ.

არუთინოვი გეორქ სოლომონის ძე: შენობები და ბაღი მიწა ზომით 4 დესეტინა მეშვიდე ნაწილში ნავთლუღში ბარბარეს ქუჩაზე.

თავნი ვალი 8703 მან. 66 კაპ., ნედოიმკა 559 მანეთი 66 კაპ. სულ 9263 მანეთი 32 კაპ.

არუთინოვი გეურქ არუთინას ძე: შენობები და მიწა ზომით დაახლოვებით 65 ნახევ. ოთხკუთ. საჟენი; მეცხრე ნაწილში თამარის ქუჩაზე.

თავნი ვალი 5229 მან. 23 კაპ., ნედოიმკა 230 მანეთი 18 კაპ. სულ 5459 მანეთი 41 კაპ.

არუთინოვისა ეკატერინე გრიგოლის ასული: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 70,55 ოთხკუთხი საჟენი; მეშვიდე ნაწილში ალაზანის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2290 მან. 54 კაპ., ნედოიმკა 135 მანეთი 32 კაპ. სულ 2415 მანეთი 86 კაპ.

არუთინოვი ივანე სარქისის ძე (მემკვიდრენი): შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 47 ოთხკუთ. საჟენი; მეორე ნაწილში თხინვალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 3251 მან. 16 კაპ., ნედოიმკა 138 მანეთი 82 კაპ. სულ 3389 მანეთი 98 კაპ.

არუთინოვისა მარიამ ანდრიას ასული: შენობები და მიწა, ზომით 67 ნახევ. ოთხკუთ. საჟენი; პირველ ნაწილში კურსკის შესახვევში.

თავნი ვალი 3669 მან. 62 კაპ., ნედოიმკა 188 მანეთი 06 კაპ. სულ 3847 მანეთი 68 კაპ.